

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

14 თებერვალი, ხუთშაბათი, 1991 წ. № 26 (10489) • 10 კაპ.

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან

გამოცემის შესახებ

დარბ — თაგისი პროფკავშირი

თაგისის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი, აგრეთვე მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციები ერთსულოვნად უჭერენ მხარს ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკთა დარგობრივი პროფკავშირის შექმნას, რაც მრავალი პრობლემის რეალური გადაჭრის საფუძველს შექმნის.


ფკავშირის შექმნას, რაც მრავალი პრობლემის რეალური გადაჭრის საფუძველს შექმნის.

ვლადიმერ პანაძე, კომიტეტის თავმჯდომარე.

სპორტსმენთა, ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკთა დარგობრივი პროფკავშირის შექმნის აუცილებლობა დრომ გვიკარნახა. რაც მთავარია, ბოლო მოეღება სპორტსმენთა სოციალურ დაუცველობას, ფიზკულტურისა და სპორტის სფეროში დასაქმებულ მრავალათასიან

ლაშქარს თავისი კეშმარიტი წინამძღოლი გამოუჩნდება.

ილია გვალიძე, საქართველოს პროფკავშირის ფედერაციის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირის თავმჯდომარე.




„ლელოს“ მე-2-3 გვერდზე გამოცემულ ზედაპირულ რედაქციურ გაერთიანების „გაზეთი“ „მორკინალი“ მორიგ გამოცემას. მორკინალის მე-2 ნომერი „ლელოს“ რედაქციამ მოაგზავნა, როგორც ქიუდოში საერთაშორისო ტურნირის ერთ-ერთმა სპონსორმა.

დასაწყისი

11 და 17 საათზე

ინფორმაციები —

„პრეზიდენტის თასი“



ინფორმაციის პრეზიდენტის თასი, რომელიც ტრადიციულად თამაშდება მოკრივეთა საერთაშორისო ტურნირზე, მერვედ მოიპოვა საბჭოთა გუნდმა. ამ გამარჯვებაში დიდი წვლილი მიუძღვით ქართველ ჯაბუკებს, კერძოდ, მსოფლიო ჩემპიონს თანატოლებში — ქუთაისელ აკაკი კაკაურიძეს (75 კგ) და მესტიელ რამაზ ფალიანს (48).

აკაკი კაკაურიძე უძლიერესი იყო თავის წონაში, მის მეგობარს კი „ვერცხლი“ ერგო.

სურათზე: ა. კაკაურიძე.

ალია მარჩი — სიუ ჟოზე 1,5 : 2,5

გელგარდი. აქ დამთავრდა კადრები ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩის პირველი ნახევარი, რომელშიც

ერთმანეთს ხვდებიან იუგოსლავიელი ალისა მარჩი და ჩინელი სიუ ჟიუნი. ოთხი პარტის შემდეგ და-

წინაურდა ჩინელი მოკადრე — 2,5:1,5. მატჩის მეორე ნახევარი გაიმართება პეკინში 21-27 თებერვალს.

ლტოლვილთა დასახარებლად

საპარტველოს სპორტსაკომისის და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების — ქიდაობის გაერთიანების, სპორტურუნველყოფის

სამმართველოს ცენტრალური კვლევითი განყოფილების, ჩოგბურთის სასახლის, ავტოგარაჟის, თამაშებისა და სპორტის გამოყენებითი სახეობების

უმადლეის დაოსტატების სპორტული სკოლების თანამშრომლებმა პირადი დანახოებიდან 6420 მანეთი ნაღდი ფული შეიტანეს სამაჩაბლოდან ქართველ ლტოლვილთა დასახარებლად.

სტუმრად პრესლისტებთან

გაუზონ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სხლომათა დარბაზში გაიმართა პრესკონფერენცია საქართველოს ფეხბურთის ფედერაცი-

ციის პრეზიდენტ ნოდარ ახალციანი და ფედერაციის სხვა წარმომადგენლებთან.

სტუმრებმა უპასუხეს ჟურნალისტთა მრავალრიცხოვან შეკითხვებს.

მისასალმებელია!

საფეხბურთო ლაბარბა პროფკავშირის სამხრეთ-დასავლეთი

1991 წლის საფეხბურთო სეზონში თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე საქართველოს ჩემპიონატის, თასის გათამაშებისა და სხვა სპორტულ-სანახაობითი ღონისძიებების დროს კვლავ მოეწყობა ნივთების ლატარიის ტირაჟები, ოღონდ ამჯერად, სტადიონის დირექციასთან შეთან-

ხმებით, გათამაშებას ჩატარებს მერაბ კოსტავას სახელობის საქართველოს საადგილობრივი, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდი, ზოლო ამონაგები თანხის გარკვეული ნაწილი ამ ფონდის მიზნებს მოხმარდება. ლატარიის გათამაშება უცხოური ფირმის მსუბუქი ავტომანქანები „მერსედისი“, „ვოლგო“, „ნისან-პატრული“, „ბმე“. ერთ ტირაჟში გათამაშდება 5 ავტომანქანა.

ამ საკითხზე მიღებულია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილება. „ლელოს“ რედაქცია თავს აცხადებს ამ ღონისძიების სპონსორად და კისრულობს ჩვენს გაზეთში მის ფართოდ რეკლამირებას.

იპარკონის ტრანსპორტის სამინისტრომ კორპორაცია „ტოიოტა მორტორს“ უზოდა დაცენი ახალი გამოგონების — ერთადგილიანი ავტომობილისთვის, რომლის აკუმულატორები იმუშავებს შვის ენერჯით. ამ ავტომობილის წონა 210 კილოგრამია, სიგრძე — 1,7 მეტრი, სიგანე — 1,9, მაქსიმალური სიჩქარე — 44 კილომეტრი საათში. ღრუბლიან ამინდში და ღამით ავტომობილი მოძრაობს ავტონომიური სვლის დამატებითი ბატარეების მეშვეობით. ამ ახალ ავტომობილს ერთი „ნაკლი“ აქვს — იგი საქმად ძვირი, 100 მილიონი იენი ღირს.



სპულ
თბილისის
სპორტის
სახელმწიფო
დაინფორმაცია
XXII
საერთაშორისო
ტურნირი
ქიუდოში

ტურნირები და შედეგები

კალათბურთი. ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების ნახევარფინალში მოსკოვის „დინამო“ სალონიკში შესვენდა ადგილობრივ პაოკს და დამარცხდა — 82:95 (42:40). მატჩის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი იყო დინამოელი დიმიტრი შაკულინი — 18 ქულა. ამავე ტურნირის მეორე ნახევარფინალში „სარაგოსამ“ (ესპანეთი) სტუმრად დაამარცხა საფრანგეთის „მოლე“ — 105:95 (56:45).

მძლეოსნობა. კოკით მბტომელოთა საერთაშორისო ტურნირი, რომლის მოწყობის თაოსანი გახლდათ მსოფლიო რიგორდსმენი სერგეი ბუბკა და რომელიც მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ თავის კალენდარში შეიტანა, 18 თებერვალს დონეცკში არ ჩატარდება. ამ პერიოდში საბჭოთა კავშირში ჩახვალა უარი განაცხადა თითქმის ყველა მიწვეულმა სპორტსმენმა. ორგანიზატორებმა ტურნირი 19 მარტისთვის გადაიტანეს.

ველოსპორტი. კრიოატისკის ოლიმპიურ ტრეკზე მიმდინარე ზამთრის საკავშირო ჩემპიონატის სპრინტერ ქალთა ტურნირი მოიგო ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა, ტალინელმა ერიკა სალუმიამ. ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები, შესაბამისად, ხვდათ ოქსანა გრიშინას (ტულა) და ვიტე როზმაიტეს (ლენინგრადი). გუშინ საღამოს მედლების კომპლექტი გაითამაშეს სპრინტერმა ვაეემა.

თხილამურებით რბენა. იტალიის საკურორტო ქალაქ კავალეზეში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე ნორვეგიელმა მოთხილამურე ქალმა ტრუდე დიუნენდელმა ოქროს მედალი მოიპოვა 5 კილომეტრიან დისტანციაზე რბოლაში — 14.4,2 (ადრე მას ვერცხლის ქაღდო ხვდა 15 კილომეტრზე). გამარჯვებულს 5 წამით ჩამორჩა ხათხილამურო სპორტის ვეტერანი, 85 წლის ფინელი მარია-ლიისა კირვესნიემი. ბრინჯაოს ქაღდო ხვდა იტალიელ მანუელა დე სენტას — 14.24,1. პირველ ორ რბოლაში გამარჯვებულმა მაგადანელი ელენა ვიალბე ამჯერად შეცხრაშეგე იყო. ნორვეგიელს იგი 48 წამით ჩამორჩა.

